ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 36 (10406) 28 ოქტომბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

30 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ოზურგეთში – **ავთანდილ თალაკვაძე** არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საჯარო თანამდებობის პირი, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევს მოქალაქეებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, გააჩნია 78 რაიონული სამსახური და 28 ფილიალი, ჰყავს 7200-ზე მეტი თანამშრომელი.

ავთანდილ თალაკვაძემ მთავრობის მხარდაჭერით სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა: ქვეყნის მასშტაბით ააშენა 75 ახალი ბაზა, მათ შორის ოზურგეთში; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სრულად განაახლა თანამედროვე მანქანებით; თანამშრომლების ხელფასები გაზარდა 160%-ით.

ავთანდილ თალაკვაძე დაიბადა 1984 წლის 8 აპრილს, ქალაქ ოზურგეთში. დაამთავრა ოზურგეთის № 1 საჯარო სკოლა. სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე, სპეციალობით – ეკონომიკა და ფინანსების მართვა. პროფესიით ეკონომისტია და სპეციალური განათლება აქვს მიღებული ორგანიზაციული მართვის სფეროში. აქვს კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილებაც – იყო კომპანია „მედიქალ პარკის“ ერთ-ერთი დირექტორი, ასევე, კომპანია „ალიანს მედის“ ფინანსური დირექტორი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ავთანდილ თალაკვაძე მიღებული განათლებით და სამუშაო გამოცდილებით ბრუნდება ოზურგეთში, რათა მშობლიურ მხარესა და ხალხს ემსახუროს.

მან დაასახელა პრიორიტეტები, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პირველ რიგში გააკეთებს:

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა - ახალი საინვესტიციო პროექტები ოზურგეთისთვის; ახალგაზრდების დაბრუნება და დასაქმება; სოციალური პრობლემების მოგვარება და ზრუნვა სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებზე;

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება- გაზიფიკაცია, შიდა გზები, სკვერები, საბავშვო ბაღების განახლება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ქალაქისა და სოფლების ისტორიული უბნების რეაბილიტაცია;

ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი ოზურგეთისთვის; საბინაო პრობლემების მოგვარება უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის;

წყლით მომარაგების მოგვარება სოფლებსა და ქალაქში; გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და ეკოლოგია, *ნარჩენების მართვის პრობლემის მოგვარება.*

კონსტანტინე შარაშენიძე - დაიბადა ქალაქ ოზურგეთში 07.02.1973 წელს. დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტი-სპეციალობა ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი. ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და ორი შვილიშვილი.

-1996-1997 წლები: ოზურგეთის რაიონის, სოფელ დვაბზუს გამგებელი;

-1997-1998 წლები: გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი - სამდივნოს უფროსი;

-1998 -1999 წლები: გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი - წამყვანი მრჩეველი;

-2000-2002 წლები - საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური-კონკურენციის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

-2002-2006 წლები: გურიის აგრობიზნესცენტრი - ფერმერულ ასოციაციებთან ურთიერთობის მენეჯერი;

-2008-2010 წლები: სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გურიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;

-2012-2014 წლები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

-2014-2017 წლები: „ქართუ ჯგუფის" აჭარა-გურიის რეგიონის სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელი;

-2017-2021 წლები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.

USAID-მა კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

24 ოქტომბერს, კურორტ ბახმაროში, სასტუმროში „ბახმაროს პიონერები“ კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგმა (**CCEH**), გურიის რეგიონში სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარების მიზნით და საქართველოში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, **USAID**-ის ეკონომიკური უსაფრთხოების და ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

USAID - ის ეკონომიკური პროგრამასთან პარტნიორობის ფარგლებში, გურიის რეგიონში ორი მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდება.პირველი ინიციატივა გულისხმობს „გურიის ჩაის გზის“ შექმნას, რაც მოიცავს ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ჩაის მწარმოებლების შესაძლებლობების გაზრდას, „გურიის ჩაის გზის“ ასოციაციის მხარდაჭერას და ტურიზმის ინუსტრიასთან საბაზრო კავშირების შექმნას.

რაც შეეხება მეორე ინიციატივას, ის გულისხმობს მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელებას და 36 კმ-იანი სიგრძის საფეხმავლო მარშრუტის შექმნას, რომელიც გურიის მთიან ტერიტორიებს, კერძოდ გამისმთასა და ბახმაროს აჭარის სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძისთან დააკავშირებს. პროექტის ფარგლებში ჩართული პარტნიორები უზრუნველყოფენ მცირე საცხოვრებელი ობიექტის მშენებლობას, რომელიც დაკავშირებული იქნება აღნიშნულ სამარშრუტო გზასთან. პროექტი ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტებს მისცემს უნიკალურ შესაძლებ-ლობას ოთხივე სეზონის განმავლობაში იმოგზაურონ და დაკავდნენ მათთვის სასურველი აქტივობებით.

*_„USAID- ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა სიამოვნებით თანამშრომლობს კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგთან (**CCEH**)გურიის რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობების გასაზრდელად. ეკო-ტურიზმის განვითარებით, რომელიც ორიენტირებულია რეგიონში ჩაის წარმოებაზე, ასევე, მისი მთის სათავგადასავლო გამოცდილების გაზრდაზე, უდავოდ მოხდება მაღალი ღირებულების, გამოცდილი საერთაშორისო ტურისტების მოზიდვა და რეგიონით დაინტერესება, რომელთაც სურთ საქართველოს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის გაცნობა.“* –აღნიშნა **USAID** –ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა **მარკ მაკკორდმა.**

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამისა და კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის პარტნიორობა გულისხმობს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის წინსვლის ხელშეწყობას და ამ მიმართულებით, მდგრადი შედეგების უზრუნველყოფას. ერთობლივი მიდგომა საკითხისადმი, გურიის რეგიონში წაახალისებს კრეატიულ გაერთიანებებს და კავშირებს, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდას, რათა საქართველომ შეძლოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი გენერაციის ობიექტების აშენება.

–„*ჩვენი, როგორც ინვესტორის მიზანია ჰიდროენერგეტიკული პროექტების დეცენტრალიზაცია, რაც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით ხელშესახები ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობებს მოიტანს რეგიონებისთვის. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკა, დიდწილად მიმართულია ადამიანებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ვგეგმავთ სოციალურ პროექტებს, ვცდილობთ მიმზიდველი გავხადოთ გურიის რეგიონი პოტენციური დონორებისთვის და ინვესტორების-თვის. დღევანდელი დღე სწორედ ამ მუშაობის შედეგია. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ დღეს ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, **USAID** -ის ეკონომიკური უსაფრთხოების და **USAID** -ის საქართველოს ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამებთან და ამით, ვიწყებთ თანამშრომ-ლობას მათთან გურიის რეგიონის განვითარებისთვის.* “

– განაცხადა კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინ-გის დირექტორმა **მიხეილ ნიბლაძემ.**

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: „ბახვი 1 ჰესის“ გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა მენეჯერმა **დავით მიქელაძემ, USAID**-ის ენერგეტიკული უზრუნველყოფის პროგრამის ხელმძღვანელმა **ოვანე პირველმა,** „ჩაის გზის“ ასოციაციის ხელმძღვანელმა **ალეკო მაჩაშვილმა,** „ბახმარო **Powder Project**“-ის ხელმძღვანელმა ინგო შლუციუსმა, მდგრადი ტურიზმის განვითარების ცენტრის დამფუძნებელმა და დირექტორმა **ოვანე ვაშაყმაძემ**, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ.**

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბრიფინგი

კონსტანტინე შარაშენიძე: ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას, არ ვაპირებთ ამ პოზიციებს შევეგუოთ

ალიონი. *„პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატი და მისი გარემოცვა მიულებელი და დამძიმირებელი მეთოდებით ცდილობს ამომრჩევლის ნების შეცვლას. მათთვის ჩვეული პრაქტიკაა ამომრჩეველზე ზეწოლა, მისი დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი და გაურკვეველი ადამიანების გამოყენება, რაც საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს“.* – ამ სიტყვებით გახსნა 25 ოქტომბერს თავის ოფისში ბრიფინგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა კონსტანტინე შარაშენიძემ

როგორც შარაშენიძემ აღნიშნა, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში კლანური მმართველობის თავიდან აცილების მიზნით, ის ოზურგეთელებს სთავაზობს მართვის ახალ მოდელს:

„აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი რგოლების ეფექტურად მართვის მიზნით, გთავაზობთ შევქმნათ ახალი მართვის მოდელი, სამოქალაქო მთავრობა. ამისთვის მოვუწოდებ და თანამშრომლობისთვის ხელს ვუწვდი უკლებლივ ყველა პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანს, პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებს, სამოქალაქო აქტივისტებს, უბრალო მოქალაქეებსა და მეურნეებს, ვისაც უყვარს ოზურგეთი და მზად არიან უანგაროდ იბრძოლოს ოზურგეთისთვის“.

შარაშენიძის თქმით, ეს იქნება მართვის სრულიად ახალი და გამჭვირვალე სტილი, სადაც მთავარ ფასეულობას ოზურგეთი და ოზ-ურგეთელები წარმოადგენენ. თითოელ ადამიანს შეუეძლება გახდეს აღმშენებლობის თანამონაწილე და თავისი წვლილი შეიტანოს ოზურგეთის განვითარებაში.

მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ოზურგეთის აღმშენებლობის დაწყებას, როგორც თვითონ ამბობს, დიდი შერიგებითა და ოზურგეთის სიყვარულით აპირებს:

„მე გაძლევთ შანსს, აიღოთ რეალური მართვის სადავეები, გადავინაწილოთ თანამდებობრივი პასუხისმგებლობები, კონსესუსით ავირჩიოთ მერის მოადგილეები, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები, სამსახურის უფროსები. დავიწყოთ ოზურგეთის აღმშენებლობა დიდი შერიგებითა და ოზურგეთის სიყვარულით. ჩვენ ერთად შეგვიძლია გავხადოთ ოზურგეთი უფრო ძლიერი“.

კონსტანტინე შარაშენიძემ განაცხადა, რომ იგი პირდაპირ ეთერში ნებისმიერ თემაზე სადებატოდ იწვევს ავთანდილ და არჩილ თალაკვაძეებს:

„აქვე მინდა მივმართო „ქართული ოცნების“ კანდიდატს და მის მეურვეს, რომლებიც ტყუილებსა და ჭორებს ავრცელებენ კარგა ხანია, ბოლო დღეებში გაათმაგებულად, მათ ფეის-ბუკ-განცხადებებსაც ვხედავ. აგონიაში არიან და იმიტომ. იციან, რომ საზოგადოების მხარდაჭერა არ გააჩნიათ. ის მოპოვებული პროცენტები, რომლ-ითაც ამაყობენ „ქართული ოცნების“ ლიდერებთან, თითქოსდა ასეთი უპირატესობით მოიგეს პირველი ტური, არის ძალით, მოსყიდვით, დაშინებით, ყველანაირი არასწორი გზით მიღებული ხმები. მეორე ტურში ამ ყველაფერს, რასაკვირველია, ოზურგეთის საზოგადოება პასუხს გასცემს.

ორივე ძმას ნებისმიერ საკითხზე სადებატოდ ვიწვევ პირდაპირ ეთერში. რამდენჯერმე შევ-თავაზე და დღემდე დასტური არ მიმიღია. მზად ვარ საზოგადოებას გავცე პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რასაც მათი მხრიდან ექნება ადგილი. მიმაჩნია, რომ როცა არის ასეთი ვნებათა ღელვა, პოლიტიკური ტემპერატურა იწევს დღითიდღე და როდესაც ასეთი ამბიციური განცხადებებია მეორე მხრიდან, თუკი აქვთ არგუმენტები, რა პრობლემაა, მოვიდნენ, დასხდნენ ჩემთან ერთად პირდაპირ ეთერში. მე მზად ვარ, ვუპასუხო იმ ბრალდებებს, რომელიც მათი მხრიდან გაისმის, თითქოსდა ოთხი წლის მანძილზე მერს არაფერი გაუკეთებია და ოთხი წელი თურმე მე ვყოფილვარ არაფრის მაქნისი. ეს არის სრული სიცრუე საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, ჩვენ რასაც ვაკეთებდით და რისი გაკეთება მსურს კიდევ მომავალში. მინდა გითხრათ, რომ ამ ყველაფერს მე გავაკეთებ ხალხთან ერთად, იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც აქვს სურვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა“.

შარაშენიძემ თქვა, რომ „ქართულ ოცნებას“ სხვა აღარაფერი დარჩენია, გაყალბების გარდა, მაგრამ, ის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი და მისი მხარდამჭერები წინ აღუდგებიან ყოველივე ამას. ბრძოლა იქნება უკომპრომისო, შეიძლება ითქვას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე:

„უზარმაზარი ზეწოლაა ამომრჩევლებზე, თავიანთი ნების გამოხატვის საშუალებას არ აძლევენ ადამიანებს, ტელეფონით და ათასგვარი ხრიკებით აპირებენ ამ არჩევნების მოგებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, უარს ვეუბნებით, ასეთ პროცესებს. ვიცით, რომ სხვა არაფერი დარჩენიათ გაყალბების გარდა. და ჩვენ აღვუდგებით ამ ყველაფერს წინ, არ ვაპირებთ ბრძოლა შევწყვიტოთ, პირიქით, ბრძოლა იქნება ბოლომდე, ასე შეიძლება ითქვას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იმიტომ, რომ ჩვენი ოზურგეთი, ხალხი, საზოგადოება კარგად ხედავს, რა შეურაცხყოფა მიაყენეს მათ ძმებმა თალაკვაძეებმა, რომლებმაც თავიანთი მიზნის მისაღწევად ყველაფერი იკადრეს, ყველაფერი, რასაც ადამიანები არ კადრულობენ. ეს ხალხი გამოაშკარავდა ოზურგეთში, მათ სხვა გზა არ გააჩნიათ, ისინი არიან გამოგდებული თბილისიდან, მათი არც ღირსება, არც პროფესიონალიზმი არავის სჭირდება სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. არჩილ თალაკვაძე ცბიერობით, ქოსატყუილობით, რაც მას ახასიათებს, ცდილობს ოზურგეთში საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

ამიტომ, როგორც ვთქვი, ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას, არ ვაპირებთ ამ პოზიციებს შევეგუოთ, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს მოგებული, საზოგადოებას აქვს ნდობა სახალხო კანდიდატისა, ხალხის მიერ წამოყენებული კანდიდატისა. საზოგადოებას უნდა მივცეთ იმის საშუა-ლება, თვითონვე გასცეს პასუხი ამ თვითმმართველობის არჩევნებს“.

ბრიფინგზე გაჟღერებულ ბრალდებებს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარმომადგენლობა აბსურდულს უწოდებს.

–ეს არის აბსურდი. თუ რაიმე დარღვევაზე აქვთ ინფორმაცია, მიმართონ შესაბამის სტრუქტურებს. „ქართულ ოცნებას“ ამ ფაქტთან არავითარი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება დებატებს, მონაწილობას არ მივიღებთ – განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთში მერობის კანდიდატის ავთანდილ თალაკვაძის პრესსამსახურმა **ნინო ლომჯარიამ.**

ჩაის გზის ასოციაციის პრეზენტაცია

ალიონი. 26 ოქტომბერს, სოფელ მელექედურში, ლანა ჟღენტის მამულში, „ასოციაცია ჩაის გზის“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ, როგორც ასოციაციის მოქმედი და პოტენციური წევრები, ასევე, ტურისტული პროექტის დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მასპინძლებმა მოწვეულ სტუმრებს გააცნეს ასოციაცია „ჩაის გზის“ მიზნები, ამოცანები, სამომავლო გეგმები და საჭიროებები.

–„ასოციაცია ჩაის გზა 2021 წლის 20 ივლისს დავაფუძნეთ. ჩვენი მიზანია, ჩაის კულტურის როგორც ტურისტული, ასევე სამრეწველო მიმართულებით პოპულარიზაცია, ტურისტული მარშრუტის „ჩაის გზის“ შექმნა, სავაჭრო ურთიერთობების მოძიება და განვითარება, რაც თავის მხრივ შეუწყობს ხელს რეგიონში დასაქმების ადგილების შექმნას, სოფლის მეურნეობისა და გურიის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. გვინდა, რომ სწორედ გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი, არ დავკარგოთ ტრადიცია და ჩვენი ცოდნითა და გამოცდილებით განვავითაროთ და უფრო მაღალ საფეხურზე გადავიყვანოთ ჩაის მოყვანა და მისი წარმოება ქვეყანაში“ - განაცხადა „ასოციაცია ჩაის გზის“ დამფუძნებელმა **ალეკო მამეშვილმა.**

–„დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს, „გურიის ჩაის გზის“ ასოციაციის მხარდაჭერას და ტურიზმის ინდუსტრიასთან საბაზრო კავშირების შექმნას, რათა რეგიონში ჩაის პოზიციონირება ისევე მოხდეს, როგორც კახეთში ღვინის. ეს კი მოიცავს, ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ჩაის მწარმოებლების შესაძლებლობების გაზრდას, „ჩაის გზის“ მარშრუტის შექმნას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს მამულებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი მდებარეობა, აწარმოებენ ავთენტურ პროდუქციას, და რაც მთავარია აქვთ ტურისტების გამასპინძლების შესაძლებლობა.ამ პროექტის განვითარების შემდეგ, „ჩაის გზის“ ტურის ფარგლებში ჩამოსული ვიზიტორები შეძლებენ დაგემოვნონ ჩაი, მიიღონ მონაწილეობა მის მომზადებაში, მიირთვან ადგილობრივი კერძები და რაც მთავარია, ახლოს გაეცნონ გურული სოფლების ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს.“–განაცხადა კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის დირექტორმა **მიხეილ ნიბლაძემ.**

*–„რეგიონში ტურისტული მარშრუტის „ჩაის გზა“ შექმნით, უდავოდ მოხდება როგორც ადგილობრივი ასევე ქვეყნის მასშტაბით მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა, ასევე მაღალი ღირებულების, გამოცდილი საერთაშორისო ტურისტების მოზიდვა და აღნიშნული რეგიონით მათი დაინტერესება. სწორედ ამიტომ ჩვენი პროგრამა თანამშრომლობს კომპანია **CEHH** - თან, რომ შექმნას ახალი შესაძლებლობები და სერვისები, რომლითაც ხელს შეუწყობთ ქვეყანაში ტურისტული პროდუქტებისა და და სტუმართმასპინძლობის მეტად წარმოჩენას“* - აღნიშნა **მარკ მაკკორდმა, USAID**-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა.

„ასოციაცია ჩაის გზის“ წევრია ტურისტული მარშრუტი “ჩაის გზა“, მასპინძელი ლოკაციის წარმომადგენლები და მცირე და საშუალო ჩაის საწარმო.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულარ სისტემას შემსავაზებლით ქალაქისა და სოფლების მაცხოვრებლებს? რამდენად პრიორიტეტულია თქვენთვის ეს საკითხი და გიფიქრიათ თუ არა, რეგულარ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

გიორგი სირაძე

შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“ ემსახურება ხუთ სოფელს: ლიხაურს, შემოქმედს, ვაკიჯვარს და ასკანას, ასევე ემსახურება ორ დაბას (ლაითური, ნარუჯა) საჯარო სკოლის პედაგოგების გადაყვანას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დანარჩენი თემების მოსახლეობას გადაადგილება და მუნიციპალურ ცენტრთან დაკავშირება უწევთ კერძო და სამარშრუტო ტაქსებით, რაც საკმაოდ მძიმედ აწვება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ბიუჯეტს. საჭიროა ახალი მოწვევის საკრებულომ იზრუნოს აღმასრულებელ ორგანოსთან ერთად ამ პრობლემის მოგვარებაზე.
საჭიროა ყველა სოფელსა და თემს ემსახურებოდეს მუნიციპალური ტრანსპორტი.

ლელა საჯაია

მუნიციპალიტეტს არა აქვს გამართული ავტოპარკი. უპირველესად, აუცილებელია მისი განახლება. ჩვენი გუნდი თვითმმართველობაში მოსვლიდანვე ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას გეგმავს. ვთვლი, რომ გადასახედია მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განრიგი. მომსახურება მაქსიმალურად უნდა მოერგოს მოსახლეობის საჭიროებებს. სოფლებთან დილის საათებში სატრანსპორტო მარშრუტების ამოქმედება ბევრი პედაგოგის, მშობლის და მოსწავლის გადაადგილებას შეუწყობს ხელს.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

რეგულარ ფიქრობთ, რამდენად რეალურია საკანალიზაციო სისტემის პრობლემის მოგვარება, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს და დაახლოებით როდის, რომელი წლისთვის ეძნება ოზურგეთის საკანალიზაციო ქსელი და გამწმენდი ნაგებობა?

გიორგი სირაძე

ოზურგეთში რამდენიმე მდინარეა: ბაზრისწყალი, შკვარა-შკურა, სკურჩა და ყველაზე პატარა, ნაბჟუარას მარცხენა უსახელო შენაკადი. მოუწესრიგებელი და გაუმართავი საკანალიზაციო სისტემის გამო, ამ მდინარეების დაბინძურება ხდება წყალარინების თხევადი ნარჩენებით, რომელთა ჩადინება ხდება ფოლტრების გარეშე. საჭიროა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქალაქის წყალარინების ქსელით სრულად დაფარვისთვის, უზრუნველყოფილი იქნას ქალაქის დიდი და მცირე მდინარეების დაცვა წყალარინების თხევადი ნარჩენების ჩადინებისგან.

ლელა საჯაია

ჩვენ შევძელით ამ პრობლემის გადაჭრა ჩემს სამაჟორიტარო ოლქში კონკრეტულ ლოკაციებზე. ეს თავისთავად ადასტურებს თემის პრიორიტეტულობას ჩემთვის. ვფიქრობ, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა და დროული და ქმედითი კომუნიკაცია ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს ბევრ ქალაქში მოწესრიგდა აღნიშნული პრობლემა, დაიხარჯა ხუთჯერ მეტი თანხა, ვიდრე ეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სჭირდება, მიმაჩნია, რომ ჩვენთანაც შესაძლებელია მსგავსი მასშტაბური პროექტის განხორციელება. წყალარინების ინფრასტრუქტურის განახლებას ჩვენი გუნდი თავისი გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება



2025 წლისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით რამდენ პროცენტს ექნება წვდომა სუფთა, სასმელად ვარგის წყალზე? შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენ როგორ ხედავთ ამ პრობლემის მოგვარებაში თქვენს როლს?

გიორგი სირაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაუმართავია წყალმომარაგების საკითხი, მოსახლეობას იგი გრაფიკით და ხარვეზებით მიეწოდება. პატარა წვიმის დროსაც კი მოსახლეობის 60% სასმელი წყლის გარეშე რჩება, რისი მიზეზადაც წვიმა და სატუმბ სადგურში წყლის ამღვრევა სახელდება. არადა, წერტილოვანი სარემონტო სამუშაოები რეგულარულად მიმდინარეობს. საჭიროა გამოყოფილი თანხების ეფექტურად ხარჯვით ამ პრობლემის საბოლოოდ მოგვარება.

ლელა საჯაია

წყალმომარაგების საკითხი აწუხებს მთელს მუნიციპალიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის უდიდეს ნაწილს მიეწოდება წყალი, საკითხი მაინც პრობლემატურია. არსებობს კონკრეტული შეზღუდვები, გრაფიკი. არის უბნები, სადაც მსგავსი მომსახურებაც კი სანატრელია. ჩვენი გეგმა ითვალისწინებს წყალმომარაგების სრული ქსელის მოწყობას ქალაქის ტერიტორიაზე და ჭაბურღილების ამოქმედებას სოფლებში. ვფიქრობ, 2021 წლის მოწვევის თვითმმართველობა შეძლებს ოზურგეთელი მოსახლეობისათვის წყალმომარაგების სრული სისტემით ამოქმედებას.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

გიფიქრიათ თუ არა, როგორ შნდა მოგვარდეს შეპატრონე ძაღლების პრობლემა და თქვენი აზრით, რა ნაბიჯები შნდა გადაიდგას პირველ რიგში?

გიორგი სირაძე

მაწანწალა და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველები საზოგადო და გლობალურ პრობლემად იქცა. უნდა მოხდეს სპეც.ავტომეურნეობების ძაღლჭერი ბრიგადების ტექნიკური გადაიარაღება, ძაღლმჭერი მანქანების მოდერნიზება -რეკონსტრუქცია, სპეციალისტების გადამზადება, სტაჟირება უცხოეთში, ცხოველთა დაჭერა-იზოლაციის თანამედროვე ჰუმანური მეთოდების დანერგვა. ქალაქის ტერიტორიის დროული დასუფთავება ნაგვისაგან, სტიქიური ნაგავსაყრელების დროული ლიკვიდაცია, რომელზეც ბინადრობენ უპატრონო ცხოველები. ქალაქის ქუჩებში და გარეუბნებში მყოფი ავადმყოფი და გაველურებული უპატრონო ძაღლების დაჭერა-იზოლაცია და ძაღლების თავშესაფარში განთავსება მსოფლიო ცხოველთა დაცვის საზოგადოების **WSPA**-მოთხოვნების გათვალისწინებით კონტროლის დაწესება ცხოველთა უსისტემო ბაზრობებზე.

ლელა საჯაია

ვფიქრობ, მიუსაფარი ცხოველების და მათ შორის მაწანწალა ძაღლების საკითხი ყველაზე მეტად ოზურგეთის მოსახლეობას აწუხებს. მიმაჩნია, რომ მიუსაფარი ცხოველების პრობლემა საჭიროებს სისტემურ ცვლილებას საკანონმდებლო დონეზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მოქალაქეთა ცნობიერების დონის ამაღლების კამპანია ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მიუსაფარი ძაღლების პრობლემა ვერ გადაწყდება თუ არ ავამოქმედებთ მონიტორინგის სისტემას, ცხოველთა ვაქცინაციის, სტერილიზაციის, და ზოგადად პოპულაციის მართვის მიმართულებით.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

როგორი იქნება თქვენი სტრატეგია საუბნო მნიშვნელობის გზების მოწესრიგების მიმართულებით. რა არის თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხი საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თვალსაზრისით?

25 გიორგი სირაძე

შიდა გზები წლებია ავარიულ მდგომარეობაშია და მოწესრიგებაზე არავინ ფიქრობს. წლებია ეს პრობლემა არსებობს და მოგვარებაზე არავინ ფიქრობს. გზა განსაკუთრებით მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებამ გააფუჭა.
2013-2020 წლებში, ოზურგეთში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციამშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 31 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. რეალურად კი თითქმის ყველა სოფელში შიდა გზები მოუწესრიგებელია. მოწესრიგებული გზა, მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონის განვითარებითვის.

41 ლელა საჯაია

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში შიდა გზები და საგზაო მოძრაობა კვლავ პრობლემატურია. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ სადაც ახალი გზები დაიგო, სანიაღვრე სისტემებია გაუმართავი. ასევე არსადაა გათვალისწინებული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები. მოსახლეობა საფრთხეების თავიდან აცილებას თვითნებურად მოწყობილი ზღუდეებით ცდილობს, რაც არანაკლებ უქმნის საფრთხეს როგორც ქვეითს, ისე ავტომობილით მოსარგებლეს, ვერ უზრუნველყოფს ავარიული საფრთხეების შემცირებას და იწვევს მძღოლების უკმაყოფილებას. საგზაო მოძრაობის და ზოგადად, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების ამუშავება ჩემი უპირველესი საზრუნავია.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

How To

რას ნიშნავს თქვენთვის გენ.გეგმა და რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გენ.გეგმას ქალაქის განვითარებისთვის? არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, იქნება თუ არა პრიორიტეტული თქვენთვის, რომ ოზურგეთის ჰქონდეს გენერალური გეგმა?

25 გიორგი სირაძე

საკმაოდ ბევრს საუბრობენ გენ.გეგმის აუცილებლობის შესახებ თითქმის ყველა დონის შეხვედრაზე, თუმცა ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ არ არსებობს. თუმცა საჯარო სტრუქტურებთან ერტად აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო სექტორიც და მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც არის გადადგმული. გენ-გეგმა ქალაქის განვითარების წინაპირობაა, არ შეიძლება ქაოტურად და უკონტროლოდ ხდებოდეს მშენებლობები და ხორციელდებოდეს სხვადსხვა პროექტები. ვფიქრობ, რომ გენერალური გეგმის არსებობა ქალქის განვითრებასთან დაკავშრებულ საკითხებს მეტნაკლებად ჩარჩოში მოაქცევს.

41 ლელა საჯაია

წინა მოწვევის თვითმმართველობამ, არაერთი მცდელობის მიუხედავად ამ საკითხის მოგვარება ვერ შეძლო. მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან იყო მცდელობა, საკუთარი ძალებით მოემზადებინა აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ვერ მოახერხა ქ.ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავება.
ჩემი გუნდი საკრებულოსა და მერიაში მოწვევის პირველი დღიდანვე შეუდგება მზადებას იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას გენერალური გეგმის შესამუშავებლად საჭირო ასიგნებები.

7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემაა დაბალი ხელიმისაწვდომობა სარეკრეაციო, სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეებზე. ეს პრობლემა განსაკუთებით ახალგაზრდებს აწუხებთ. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ იმ ოლქში, სადაც თქვენ კენჭს იყრით? რა იქნება თქვენი სტრატეგია ამ მიმართულებით? რას ჰპირდებით ამ მხრივ თქვენს ამომრჩეველს?

გიორგი სირაძე

ოზურგეთის №60 ზვანი-მოიდანახის №1 მაჟორიტარული ოლქო ოზურგეთის ორ უდიდეს უბანს აერთიანებს: ზვანსა და მოიდანახეს. განსაკუთრებით მრავალბინიან კორპუსებს სჭირდებათ უფრო მეტი სარეკრიაციული ზონა, სპორტული მოედნები და სკვერები. ვფოქრობ, ამ კუთხით უფრო მეტი სამუშაოებია ჩასატარებელი. რაც შეეხება სპორტს, ეს ის თემაა სადაც ვგეგმავ არა ერთი პროექტის განხორციელებას. სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი, განსაკუთრებით მოზარდებში უნდა იყოს პრიორიტეტი.



ლელა საჯაია

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში გვაქვს მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი, სპორტული და დასასვენებელი დარბაზები და მოედნები, მაგრამ მიზეზთა გამო ერთგვარი დეფიციტია მცირე დასასვენებელი პარკების, სკვერების, შეკრების ადგილების, სადაც ადამიანები შეძლებენ პანდემიის პირობებში შეხვედრას, კომუნიკაციას, დასვენებას, აზრის გაზიარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ადამიანთა უშუალო ურთიერთობების დეფიციტი შექმნა. ჩემი მიზანია ბავშვებს, მათ მშობლებს, ახალგაზრდებს, პენსიონრებს მივცეთ შესაძლებლობა თითოეულ უბანში ჰქონდეთ შეკრების სივრცე სადაც შეძლებენ ინტერნეტის გარეშე კომუნიკაციას, გაიზიარებენ ერთმანეთის ემოციას და მეტ დროს გამონახავენ ურთიერთობებისათვის.

შალვა თავართქილაძის გახსენება

მაგრამ ის ის ერთი სხვა იყო მანც, კაცი ,რომელიც დაკლდა...“ სოფელს, ქვეყანას და განსაკუთრებით მის საყვარელ სკოლას, დიახ, შალვა თავართქილაძის შესახებ გიამბობთ!

კაცის ღირსება მედლებითა და ორდენებით არ განიზომება ,არამედ ქვეყნად დატოვებული სახელით! შალვა მასწავლებელს არც ორდენები და მედლები ,სიგელები და მადლობები აკლდა, ივი სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ,როგორც გამორჩეული და განსაკუთრებული, შემოქმედი, ნოვატორი მასწავლებელი, ფლობდა ყველა უმაღლეს წოდებას , რაც მაშინ არსებობდა საგანმანათლებლო სფეროში. თუმცა დრომ აჩვენა , ვერც ერთი წოდება და ჯილდო ვერ შეაფასებს შალვა თავართქილაძის ღვაწლს სკოლისა და სოფლის წინაშე.

25 ოქტომბერს ჩემი მასწავლებელი 105 წლის გახდა .

მე მინდა მას , როგორც ცოცხალს მივულოცო, რადგან შალვა თავართქილაძის მსგავსნი არ კვდებიან- ისინი ხსოვნაში აგრძელებენ სიცოცხლეს.

ჩვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა, ჯერ თქვენი მოსწავლე ვიყავი, მერე როგოც კოლეგა კვლავ ვაგრძელებდი თქვენს შეგირდობას წლების მანძილზე.

გმადლობ მასწავლებელო, იმისთვის, რომ ბავშვობიდანვე მაჩვევდი ანალიტიკურ აზროვნებას, ჭეშმარიტების ძიებას, პასუხისმგებლობას.

დღეს ,როცა ახალი სკოლის მოდელის მეთოდები ინერგება სკოლებში მახსენდება თქვენი გაკვეთილები, გაკვეთილების წინა და შემდგომი შეხვედრები, როგორ გვაჩვევდით გრაფიკული სქემებით მთავარისა და საყურადღებოს გამოკვეთას, ყველა თემაზე საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემას, ეპოქების ანალიზს და პარალელების მოძიებას... დღევანდელი კომპლექსური დავალებები სხვა არაფერია ,ახალი ფორმატია თქვენეული მეთოდისა. რამდენი ათეული წლის წინ აკეთებდით ამას. მახსოვს ის სიხარულიანი განცდები სოფლის ისტორიის ფოლიანტებში რეალური ისტორიების ძიებას რომ მავალებდით,რომ მეგონა , ახალი აღმოვაჩინე, როგორ მომქონდა სოფლის უხუცესების ნაამბობის ჩანაწერები, როგორი აღტაცებით მისმენდით, მახალისებდით, თუმცა აღმოჩნდებოდა ,რომ ეს ამბავი თქვენს მიერ უკვე მოძიებული და აღწერილიც იყო, მაგრამ ჩვენ ხომ კვლევას და ანალიზს ვსწავლობდით, მადლობა მასწავლებელო, ჩემი დღევანდელობისთვის, რადგან ყველა ჩემი წარმატება თქვენი დამსახურებაა.

უკვე პენსიაზე დამსახურებულად წარმანებული, როგორც შეგირდს და სკოლის დირექტორს კვირაში ერთხელ მაინც მსტუმრობდით, ბავშვივით გიხარიოდათ თუ რაიმე კარგი ხდებოდა,თუ პრობლემა მქონდა საუკეთესო მრჩეველი იყავით. ჩვენი ყველა შეხვედრა ერთგვარი თხოვნით თუ დავალებით მთავრდებოდა:“ აღნუსხე ყოველი დღე, გააკეთე ჩანაწერები, შეინახე ფოტოები, ის რაც ახლა ყოველდღიურობა და ჩვეულებრივი მოვლენა გგონია ხვალ ისტორიაა და ფასდაუდებელი განძი,რასაც მომავალს დაუტოვებ და დავიწყებისგან იხსნი, გაავრძელე ისტორია....

ვინც კარგად არ იცნობდა ჩემს მასწავლებელს მინდა ვუთხრა , შალვა მასწავლებელს გამოცემული ჰქონდა წიგნი ,,ბახვის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის საშუალო სკოლა“, რომელიც დღემდე ჩემი სამგიდო წიგნია, რომ არა შალვა მასწავლებელი რამდენი რამ არ მეცოდინებოდა ჩემი სკოლის შესახებ!

შალვა მასწავლებლის დამსახურებაა, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების ზეობის ხანაში სკოლას სერგო ორჯონიკიძის სახელობა შეეცვალა მისი დამაარსებლის -გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის საშუალო სკოლა ეწოდა.

შალვა მასწავლებელი ცირა ნიკოლაიშვილთან ერთად ავტორია წიგნისა ,,სოფელი ბახვი“ ,ამ წიგნში აისახა ათეული წლების მანძილზე ეროვნულ ბიბლიოთეკასა თუ საოჯახო არქივებში დაცული და მოძიებული ,გადამუშ-ავებული და რუდუნებით შენახული არაერთი ისტორია სოფლის ცხოვრებიდან.

შეეხებოდა,თვეობით ოჯდა არქივებში, მუზეუმებში, დადიოდა კარდაკარ და ასე მოუყარა თავი ფასდაუდებელ მასალებს, რაც შემდგომში ორი მუზეუმის -სკოლის და სოფლის ეთნოგრაფიულ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების დაარსების საწინდარი გახდა. (სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ ,ვერც ერთი მუზეუმის შენარჩუნება ვერ შეძელით!)

შალვა მასწავლებელი იკვლევდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ეპიზოდებს ,ეძიებდა მასალებს ,როლებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, ფაქტობრივად ქმნიდა ქიქოძეთა გვარის გენეალოგიას, რაც შემდეგ აისახა ზემოთხსენებულ წიგნში.

შალვა მასწავლებელი ავტორია არაერთი მეთოდური რეკომენდაციისა თუ წერილისა, რომლებიც ახალგაზრდა კოლეგებისთვის იყო განკუთვნილი.

მახსოვს 2000 წლის 25 ოქტომბერი, მისი 80 წლის იუბილე, რომელიც სოფლის და სკოლის ინიციატივით გადავუხადეთ, იშვიათია ცოცხალ ადამიანს ,სოფელმა ასეთი პატივი მიაგოს, შალვა მასწავლებელი ბავშვივით გახარებული იყო, თანაც ეუხერხულებოდა ამდენი ქება და სამადლობელი.

რომ არა პანდემია, ახლაც ვგეგმავდით მოკრძალებულ ღონისძიებას.

-პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით სკოლის ისტორიის კაბინეტს“ შალვა თავართქილაძის სახელობის ისტორიის კაბინეტი“ ეწოდა.

ღირსეულ პედაგოგს შთამომავლობაც ღირსეული ჰყავს, რომლებიც ესათუთებიან და უფრთხილდებიან საამყო მამის და ბაბუის სახელს, მათ გამოცეს წიგნი “შალვა თავართქილაძე ცხოვრება და მოღვაწეობა“ . ყოველი სიტყვა წერილი, მიძღვნა შალვა მასწავლებლისადმი აღნუსხულია ამ წიგნში, სხვა რა არის უკვდავება თუ არა ის სიყვარული და პატივისცემა რასაც მისი კოლეგები, მოსწავლეები, თანამედროვენი წერდნენ ამაგდარ ადამიანზე : *,,თქვენი როგორც ღირსეული და დამსახურებულიკაცის შრომისა და საქმიანობის აღიარება, თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია ჩვენი და მომავალი თაობისთვის“* მიმართა მაშინდელი პარლამენტის წევრმა ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ.

ამონარიდები წიგნიდან ,,„ჩვენო დიდო მასწავლებელო, სიწმინდისა და პატიოსნების განსახიერებავ“, ,,შენ ოცდამეერთე საუკუნის კაცი ხარ“, და სხვა უამრავი

,,მრავალნი არიან წვეულ მხოლოდ მცირედნი რჩეულ“ ,ბევრი იყო და არის კარგი და გამორჩეული თავის პროფესიაში ,მაგრამ ერთეულია ოდენ საკუთარ თავს რომ ჰგავს, კოლორიტი და თავისთავადი , საქმით ჩინებული. შალვა თავართქილაძის მთელი მისი ცხოვრება იყო ღვწა, დიდი გიგო შარაშიძის მსგავსად მოღვაწე გახლდათ,, ვინა სთქვა შენი გარდაცვალება ? არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე!“

სანამ მოსწავლეთა ახალი თაობები გაიგებენ ვინ იყო შალვა თავართქილაძე და სიამაყით დაიმახსოვრებენ მის გვარს , მანამ გრძელდება ხელმეორედ დაბადება.

25 ოქტომბერი ის დღეა ,როცა ჩემს მოსწავლეებს ჩემი მასწავლებლის შესახებ ვესაუბრები !

მზია ვაშალომიძე

„საქართველოს სამსახურში ვიცრებით ერთმანეთისთვის“

გურიაში ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია – „საქართველოს სამსახურში ვიცრებით ერთმანეთისთვის“ მარათონი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ქეთევან მოისწრაფეშვილმა, სპეციალურ ჯგუფთან ერთად, დაბა ჩოხატაურში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულსა და სოფელ წყალწმინდაში მოსახლეობას ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და საინფორმაციო ბუკლეტები გადასცა მათ.

აცრის მსურველებს ადგილზე შეეძლოთ იმუნიზაცია პროფესიონალთა ჯგუფის მიერ. მარათონში მონაწილეობას იღებენ სოფლის ექიმები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების წარმომადგენლები, სოფლის რწმუნებულები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

პროექტი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება. პროექტის მხარდამჭერები არიან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში და გაეროს განვითარების სააგენტო (**UNDP**).

მილოცვა

ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის თანამშრომლები დაბადების დღეებს ვულოცავთ ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის სექტემბერ-ოქტომბერში დაბადებულ თანამშრომლებს. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, სიხარულს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია

მადლობა ექიმებს

წითელი ჯვრის ხელმძღვანელებს: **ლელა იმედაშვილს, ხათუნა ცერცვაძეს და ია ურუშაძეს**- უღრმეს მადლობას გიხდით ჩემი ოჯახის დახმარებისთვის, იმისთვის რომ გულთან მიიტანეთ ჩემი ოჯახის გასაჭირი და დახმარების ხელი გამომიწოდეთ პირველი ჯგუფის ინვალიდს. ღმერთი გფარავდეთ!

მანანა (თინა) მგელაძე

ყურადღება

მოქალაქეს ქუჩაში დაეკარგა ყურთასმენის აპარატი, მპოვნელი დასაჩუქრდება. დარეკეთ „ალიონის“ რედაქციაში, ტელ 599 37 35 15.

მურმან დუნდუა იუწყება მეგობრის, **მამია გოთუას** გარდაცვალებს და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი





პასუხები:

ანიმეები: ხუთეული – ერთი კარგი ადამიანი – ორთი; ოთხი; ოთხი; ოთხ

პრემიერები

ოზურგეთის თოჯინების თეატრმა პრემიერაზე მაყურებელი ვერ დაიტია

არა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მოვიდა, არამედ იმიტომ, რომ დარბაზში სულ 30 მაყურებელი თავსდება

ალიონი. 24 ოქტომბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ახალი თეატრალური სეზონი პრემიერით გახსნა. პარადოქსი: პრემიერაზე თეატრის დარბაზმა მაყურებელი ვერ დაიტია, არა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მოვიდა, არამედ იმიტომ, რომ დარბაზი სულ 30 მაყურებელი თავსდება. მშობლებმა გულდაწყვეტილი ბავშვები იძულებით უკან წაიყვანეს. გარდა იმისა, რომ ხსენებული დარბაზი მცირე ზომისაა, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე თოჯინების თეატრის მოთხოვნებს. დიდ დარბაზში კი, დაუფინასებლობის გამო, კარგა ხანია შეწყვეტილია სარემონტო სამუშაოები.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა ლაშა კუტალაძემ გვითხრა, დარბაზის კეთილმოსაწყობად შესაბამისი ფინანსების გამოყოფას შეპირდნენ, მაგრამ სიტყვას სამე არ მოჰყოლია და ახალი თეატრალური სეზონის გახსნა, მაინც ძველ დარბაზში მოუხდათ.

ზოგადად, თოჯინების თეატრს უზარმაზარი როლი აკისრია ბავშვთა აღზრდასა და მათი თეატრალური გემოვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ მას ყველანაირი პირობები უნდა შევუქმნათ მისიის ტოლფასი ამ როლის განსახორციელებლად.

რაც შეეხება პრემიერას: ნ. ოსიპოვას „ატმის კურკის საიდუმლოება“ წარმოადგინეს, რომლის ინსცენირება და რეჟისურა ოთარ კუტალაძეს ეკუთვნის, მხატვრობა ნინო კეჭაყმაძისაა, სპექტაკლი მუსიკალურად დავით მეგრელიძემ გააფორმა.

განსხვავებული ფორმატით განხორციელებული პრემიერის შემდეგ ნორჩი მაყურებლები ოვაციებით შეხვდნენ მსახიობებს: ელენე კვარაცხელიას, გიორგი გაფრინდაშვილს, ნინო გაგუას, მარი ქილიფთარს, გაბრიელ გაბარაშვილს, ლუკა კუტალაძეს, ირაკლი დოლიძეს.

სპექტაკლს განსაკუთრებული ელფერი შესძინა მსახიობმა ნინო გაგუამ, რომელმაც, როგორც სპექტაკლის წამყვანმა და მონაწილემ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრემიერის მაღალ დონეზე ჩატარებაში.

„არწივები“ მაღლა მიფრინავენ

23 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, საქართველოს პირველობაზე რაგბიში, პირველი ლიგის გუნდები, ადგილობრივი „ბაგრატი“ და ოზურგეთის „არწივები“ შეხვდნენ ერთმანეთს.

ეს იყო მეტად დრამატული მატჩი, სადაც თავდაპირველად „არწივები“ 21:6 იგებდნენ შეხვე-დრას. ქუთაისელებმა შეძლეს საჯარიმო ქულებით სხვაობის შემცირება და მეორე ტაიმში 21:19 იყო ანგარიში. ამის შემდეგ მსაჯებმა „არწივების“ ორი რაგბისტი გააძევეს მინდვრიდან და დაიწყო დრამატული წუთები. ქუთაისელები საჯარიმო დარტყმით ერთი ქულით გავიდნენ წინ–21:22.

ოზურგეთელმა რაგბისტებმა არასრული შემადგენლობით შეძლეს ძალების მობილიზება და დავით კვაჭანტირაძის მიერ დადებულმა ლელომ და ბახვა კობახიძის ზუსტად შესრულებულმა გარდასახვამ 8 ქულა მოუტანა ოზურგეთს და „ბაგრატი“ 29:22 დაამარცხეს.

ოზურგეთელებიდან ლელო გაიტანეს კონსტანტინე გაზაშვილმა, თენგიზ გოგოლაშვილმა, ქრისტინე მოწყობილმა, ხოლო 3 გარდასახვა და ერთი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა ბახვა კობახიძემ.

ამ მოგებით (5 ქულა) „არწივები“ გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში. მათ 25 ქულა აქვთ (5 მოგება, ერთი წაგება; გატანილი/გეშვებული 205:92; +113).თუმცა მომდევნო დღეს თბილისის „არმიამ“ მცხეთაში შეძლო „არმაზის“ დამარცხება (26:19), 4 ქულა მოიპოვა და 26 ქულით დაწინაურდა.

მმომდევნო შეხვედრას „არწივები“ ნოემბერის დასაწყისში ჩაატარებენ.

„ლახამი ჰესის“ საპროექტო ტერიტორიაზე 3000 ნერგი დაირგო

3000 ცალი ქართული მუხისა და ნეკერჩხლის ნერგი დაირგო ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე სვანეთში, „ლახამი ჰესის“ საპროექტო ტერიტორიის სამ მონაკვეთზე, კერძოდ, ზედა წყალმიმღებთან, ჰესის შენობასთან და ასევე ადგილზე, რომელიც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა. ტყის განაშენიანების ინიციატივა ჰიდროელექტროსადგურის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მართვის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა. შერჩეული ტერიტორიის განაშენიანება ლახამი ჰესის ინვესტორის კეთილი ნება და გარემოზე ზრუნვის აქტია.

ლახამი ჰესი კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის **CCEH**-ის პორტფელში არსებული ჰიდროელექტროსადგურია, რომელიც სოფელ ლახამში მდებარეობს (მესტიის მუნიციპალიტეტი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი). ლახამის ჰიდროელექტროსადგური მცირე ზომის, მდინარის მოდინებაზე არსებული კასკადური ტიპის ჰესია. მისი ჯამური დადგმული სიმძლავრე 15.9 მეგავატია, წლიური გამომუსავება კი 87 მილიონი კილოვატსაათი.

–„ჩვენ, **CCEH**-ის გუნდი, საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ფარგლებში, პირველ რიგში, ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებაზე და იმ რეგიონის განვითარებაზე, სადაც ჩვენი პროექტებით შევდივართ. გვჯერა, რომ დასავლურ ინვესტიცია, მხოლოდ ერთჯერადად დახარჯული ფული არ არის, არამედ ამ ინვესტიციას მოაქვს რეგიონშისათანადო განათლება, ცნობიერების გაზრდა და გარემოზე ზრუნვის სხვადასვა მცირე თუ მსხვილი ინიციატივა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი დღეა დღეს. ნერგების დარგვა და მათი შემდგომი მოვლა ის საქმეა, რომელსაც უდიდესი ენთუზიაზმით ვაკეთებთ და გავაკეთებთ, ჩემს თანამშრომლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად“ – განაცხადა, მიხეილ ნიბლაძემ, კომპანია **CCEH** – ის დირექტორმა.

გამწვანების აქციაზე, ლახამი ჰესის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ „ბახვი 1 ჰესის“ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებიც ორ დღიანი ვიზიტის ფარგლებში, ლახამში იმყოფებოდნენ.ხეების დარგვის აქციის შემდეგ, მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ლახამი ჰესის ინფრასტრუქტურა დათვალიერეს და გაეცნენ ჰესის მუშაობის თავისებურებებს, ნახეს ჰიდროელექტროსადგურის თევზსავალი. გარემოსდაცვის და სოციალური პროექტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მათ გააცნეს თევზსავალის მუშაობის პრინციპები, ასევე, სოციალური პროექტები, როემლიც კომპანიამ მაღალი პასუხისმგებლობით და იმ სტანდარტების მიხედვით განახორციელა, რომელსაც ინვესტორი უწესებს თითოეულ პროექტს.

ტყის განაშენიანების აქციას წინ უძღოდა „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს რიგით მესამე შეხვედრა ქ. ზუგდიდში, სასატუმრო „ლეთოში.“. შეხვედრის ფარგლებში, პროექტის გუნდის წევრებმა საბჭოს წევრებს გააცნეს პროექტის ფარგლებში მიმდინარე კვლევების პროგრესი და ასევე, წარიმართა დეტალური კითხვა-პასუხის სესია, რომლიც ფარგლებში კომპანიის თანამშომლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს საბჭოს წერვების შეკითხვებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +4+15
28 ოქტომბერი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი +4+15
29 ოქტომბერი
სამშაბათი

მზე, +6+17
30 ოქტომბერი
ოთხშაბათი

მზე, +11+20
31 ოქტომბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +10+19
1 ნოემბერი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +10+20
2 ნოემბერი
შაბათი

მზე, ღრუბელი +10+20
3 ნოემბერი
კვირა